გორის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს
განკარგულება № 227
2022 წლის 09 დეკემბერი
ქ. გორი

გორის მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით მიმღები პირის - ა(ა)იპ „იძულებით გადაადგილებულ ქალთა ასოციაცია თანხმობა“-სთვის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოსგან განთავისუფლების თაობაზე, გორის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

გორის მუნიციპალიტეტს გაფორმებული აქვს რიგი ხელშეკრულებები, რომლითაც მუნიციპალიტეტის ქონება სარგებლობის უფლებით გაცემული აქვს სხვადასხვა ეკონომიკური საქმიანობისათვის, მათ შორის, გორის მუნიციპალიტეტის მერიასა და ა(ა)იპ „იძულებით გადაადგილებულ ქალთა ასოციაცია თანხმობა“-ს (ს/ნ 203839766) შორის 2022 წლის 2 მარტს დადებული N6 იჯარის ხელშეკრულებით, ა(ა)იპ „იძულებით გადაადგილებულ ქალთა ასოციაცია თანხმობა“-ს 1 (ერთი) წლის ვადით გადაცემული აქვს გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ნიქოზში არსებული უძრავი ქონებიდან (ს/კ 66.45.21.344) 19 კვ.მ. ფართი, ორგანიზაციის ოფისის განსათავსებლად. ხელშეკრულების მიხედვით, ა(ა)იპ „იძულებით გადაადგილებულ ქალთა ასოციაცია თანხმობა“-ს ყოველთვიურად უნდა გადაეხადა საიჯარო ქირა 70 (სამოცდაათი) ლარის ოდენობით არაუგვიანეს ყოველი თვის 25 რიცხვისა, რომლის გადაუხდელობის შემთხვევაშიც დაეკისრებოდა პირგასამტეხლო საიჯარო ქირის გადაუხდელი ნაწილის 0.1 %-ის ოდენობით (მაგრამ არანაკლებ 5 ლარისა) დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. აღნიშნულის ფარგლებში, საიჯარო ქირის გადახდის დაგვიანების გამო, ა(ა)იპ „იძულებით გადაადგილებულ ქალთა ასოციაცია თანხმობა“-ს დაკისრებული აქვს პირგასამტეხლო 1110 (ერთი ათას ას ათი) ლარის ოდენობით.

გორის მუნიციპალიტეტის მერიაში შესულია ა(ა)იპ „იძულებით გადაადგილებულ ქალთა ასოციაცია თანხმობა“-ს განცხადება, რომელშიც აღნიშნულია, რომ მათ ოფისში გაჩდა ხანძარი (აღნიშნულს ადასტურებს შსს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის 2022 წლის 15 აგვისტოს №MIA 9 22 02258922 წერილი), რის შედეგადაც დაზიანდა დოკუმენტაცია. განმცხადებელი აღნიშნავს, რომ მითითებული გარემოებების გამო ვერ შეძლო საიჯარო ქირის დროულად გადახდა, რის გამოც დაეკისრა ზემოაღნიშნული პირგასამტეხლო. აღნიშნულიდან გამომდინარე, განმცხადებელი ითხოვს დაკისრებული

პირგასამტეხლოსგან გათავისუფლებას, რაც, მითითებული დარღვევის მიზეზის და იმის გათვალისწინებით, რომ დღეის მდგომარეობით ა(ა)იპ „იძულებით გადაადგილებულ ქალთა ასოციაცია თანხმობა"-ს გადახდილი აქვს საიჯარო ქირა 670 (ექვსას სამოცდაათი) ლარის ოდენობით, გორის მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია.

ზემოაღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია, მიეცეს თანხმობა გორის მუნიციპალიტეტის მერს გორის მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით მიმღები პირი - ა(ა)იპ „იძულებით გადაადგილებულ ქალთა ასოციაცია თანხმობა" (ს/ნ 203839766) გათავისუფლდეს გორის მუნიციპალიტეტის მერიასა და ა(ა)იპ „იძულებით გადაადგილებულ ქალთა ასოციაცია თანხმობა"-ს (ს/ნ 203839766) შორის 2022 წლის 2 მარტს დადებული N6 იჯარის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოსგან 1110 (ათას ას ათი) ლარის ოდენობით.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ე" ქვეპუნქტის და 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების შესაბამისად, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

1. მიეცეს თანხმობა გორის მუნიციპალიტეტის მერს გორის მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით მიმღები პირი - ა(ა)იპ „იძულებით გადაადგილებულ ქალთა ასოციაცია თანხმობა" (ს/ნ 203839766) გათავისუფლდეს გორის მუნიციპალიტეტის მერიასა და ა(ა)იპ „იძულებით გადაადგილებულ ქალთა ასოციაცია თანხმობა"-ს (ს/ნ 203839766) შორის 2022 წლის 2 მარტს დადებული N6 იჯარის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოსგან 1110 (ათას ას ათი) ლარის ოდენობით.
2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.
3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქალაქი გორი, სერგო ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე **დავით რაზმაძე**